ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03.37222491**
თარიღი:**06/09/2022**

# **დ ა ს კ ვ ნ ა**

## **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 6 სექტემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში მერიის მიერ წარმოდგენილი შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

კომისია აღნიშნავს:

_წარმოდგენილი პროექტით, მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები იზრდება 3 873 833,16 ლარით. ეს ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 1 ივნისის კორექტირებით დაგეგმილი 57497,86 ათასი ლარის ნაცვლად, ბიუჯეტი განისაზღვრა 61 371,7 ათასი ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი სრულ თანხვედრაშია ბიუჯეტის შემოსულობების დაგეგმილ მოცულობებთან;

_ბიუჯეტის მთავარი პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ დაფინანსება იზრდება 2482,0 ათასი ლარით და შეადგენს 36 246,4 ათას ლარს, რაც მთლიანი გადასახდელების 59,2%-ია;

_პროექტის თანახმად, ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსება გაიზრდება 1527,0 ათასი ლარით და შეადგენს 31694,0 ათას ლარს; გარემოს დაცვითი ღონისძიებების დაფინანსება იზრდება 394,0 ათასი ლარით და შეადგენს 3298,0 ათას ლარს, ხოლო საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება კი გაიზრდება 955,0 ათასი ლარით და შეადგენს 4833,0 ათას ლარს;

_ ცვლილებების პროექტში განსაზღვრულია სპორტის სფეროს დაფინანსების ზრდა 173,0 ათასი ლარით; კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსების ზრდა 156,0 ათასი ლარით; განათლების დაფინანსების ზრდა 499,0 ათასი ლარით, მათ შორის სკოლამდელი განათლების 337,0 ათასი ლარით.

_ ცვლილებათა პროექტი ითვალისწინებს სოციალური დაცვის მიმართულებით დაფინანსების ზრდას 100,0 ათასი ლარით.

_წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ახალგაზრდული პროგრამების(კოდი 050301) განხორციელების წესში ცვლილებებს, მისი დაფინანსების მოცულობის შეუცვლელად. იცვლება ქვეპროგრამის დასახელება და მიზანი, რითაც ქვეპროგრამა ხდება პრაქტიკაზე უფრო მორგებული და ამავე დროს იზრდება ხელმისაწვდომობა.

_ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტს თან ახლავს ინფორმაციული

მასალა, სადაც კონკრეტულადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებული დეტალები. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტის გატანა საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი